

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	16
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	26
5. ძირითადი საშუალებები.....	27
6. საინვესტიციო ქონება	28
7. ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	28
8. მარაგები	29
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	29
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
11. მიღებული სესხები.....	30
12. საგადასახადო ვალდებულება	31
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31
14. შემოსავალი.....	31
15. რეალიზაციის თვითღირებულება	31
16. სხვა შემოსავალი, წმინდა.....	32
17. გაყიდვის დანახარჯები	32
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32
19. პირობითი ვალდებულებები.....	33
20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	34
21. კაპიტალის მართვა	37
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	37
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს იბერკომპანის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს იბერკომპანის და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებული მარაგების ნაწილის რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. აღნიშნული მარაგები სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 5,762,974 ლარისა და 2,024,694 ლარის ღირებულებებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან დაკავშირებით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ. შესაბამისად, ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ნაწილის რაოდენობრივ სისწორესა და მდგომარეობაზე. აღნიშნული ძირითადი საშუალებები სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული იყო შესაბამისად 2,019,207 ლარისა და 1,481,417 ლარის ღირებულებებით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია მარაგების ნაწილის თვითღირებულების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მარაგების თვითღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად შეადგენს 1,623,002 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მარაგების თვითღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 12,940,329 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პირველადი დოკუმენტაცია საინვესტიციო ქონების ისტორიული ღირებულებების შესახებ. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს 16,631,456 ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საინვესტიციო ქონების ისტორიულ ღირებულებაში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

2017 წელს ჯგუფმა მეკავშირე საწარმოში მიწის კაპიტალში შეტანით გაზარდა ინვესტიცია. აღნიშნული მიწა მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის განხორციელების მიზნით შეფასდა და გადაფასებული ღირებულებით შევიდა მეკავშირე კომპანიის კაპიტალში. შეფასების შედეგად მიწა აფასდა 2,336,903 ლარით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები მიწის შეფასების ფასს 13-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციაში, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოება

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომელიც აღწერს, რომ წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობამ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისი პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე მე-2 შენიშვნაში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს და საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

17 დეკემბერი 2018

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგება და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ივანე ჟუჟუნაშვილი
შპს „ბიდიოს“ სახელით
თბილისი, საქართველო
17 დეკემბერი 2018



იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	15,940,121	12,940,329
საინვესტიციო ქონება	6	16,879,628	16,631,456
არამატერიალური აქტივები		166,853	53,809
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	7	1,211,722	157,000
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში	7	3,364,564	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		37,562,888	29,782,594
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	7,385,976	4,373,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,424,681	1,674,159
საგადასახადო აქტივი		-	82,331
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	642,478	892,549
სულ მიმდინარე აქტივები		9,453,135	7,022,582
სულ აქტივები		47,016,023	36,805,176
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,100,000	2,500,000
გაუნაწილებელი მოგება		18,983,448	12,982,075
სულ კაპიტალი		22,083,448	15,482,075
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	14,039,774	15,956,642
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,039,774	15,956,642
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	5,880,442	4,448,338
საგადასახადო ვალდებულება	12	1,419,775	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,592,584	918,121
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,892,801	5,366,459
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,016,023	36,805,176

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

თინათინ ენუქიძე

მთავარი ბუღალტერი

სოფიო ბოჭორიშვილი

11-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	15,940,121	12,940,329
საინვესტიციო ქონება	6	16,879,628	16,631,456
არამატერიალური აქტივები		166,853	53,809
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	7	1,211,722	157,000
ინვესტიციები ერთობლივ საწარმოებში	7	3,364,564	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		37,562,888	29,782,594
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	8	7,385,976	4,373,543
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,424,681	1,674,159
საგადასახადო აქტივი		-	82,331
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	642,478	892,549
სულ მიმდინარე აქტივები		9,453,135	7,022,582
სულ აქტივები		47,016,023	36,805,176
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3,100,000	2,500,000
გაუნაწილებელი მოგება		18,983,448	12,982,075
სულ კაპიტალი		22,083,448	15,482,075
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	14,039,774	15,956,642
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,039,774	15,956,642
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	5,880,442	4,448,338
საგადასახადო ვალდებულება	12	1,419,775	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	3,592,584	918,121
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,892,801	5,366,459
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		47,016,023	36,805,176

ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2018 წლის 17 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



თინათინ ენუქიძე

მთავარი ბუღალტერი



სოფიო ბოჭორიშვილი

11-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017
შემოსავალი	14	57,543,054
რეალიზაციის თვითღირებულება	15	(48,330,428)
მთლიანი მოგება		9,212,626
სხვა შემოსავალი, წმინდა	16	3,635,564
გაყიდვის დანახარჯები	17	(2,984,089)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(2,534,288)
საოპერაციო მოგება		7,329,813
საპროცენტო ხარჯი		(1,427,352)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება, წმინდა		177,138
ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში	7	(74,151)
მოგება დაბეგვრამდე		6,005,448
მოგების გადასახადის ხარჯი		(4,075)
მთლიანი სრული შემოსავალი		6,001,373

11-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი 2017	2,500,000	12,982,075	15,482,075
კაპიტალის შევსება დამფუძნებლის მიერ	600,000	-	600,000
წლის მთლიანი სრული მოგება	-	6,001,373	6,001,373
31 დეკემბერი 2017	3,100,000	18,983,448	22,083,448

11-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		6,005,448
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	15,17,18	1,510,573
საპროცენტო ხარჯი		1,427,352
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა მოგება		(712,557)
ინვესტიციის გაუფასურების ცვლილება		(249,870)
მიწის ღირებულების გადაფასება		(2,366,903)
საკუროს სხვაობით წარმოშობილი წმინდა მოგება		(177,138)
წმინდა ზარალის წილი კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებში		74,151
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,511,056
ცვლილება საკუთარ კაპიტალში:		
მარაგების ზრდა		(4,228,438)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		247,934
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,641,199
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		1,467,400
ფულადი ნაკადების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		5,639,151
გადახდილი პროცენტი		(1,452,553)
გადახდილი მოგების გადასახადი		(4,075)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		4,182,523
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(4,134,163)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები		204,736
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(495,229)
საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან მიღებული სახსრები		806,970
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(125,332)
ინვესტიციის ზრდა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		(1,369,099)
ინვესტიციის შემცირება მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში		327,140
ფულადი ნაკადების წმინდა გაძინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(4,784,977)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება		15,820,434
სესხის დაფარვა		(15,962,622)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		600,000
ფულადი ნაკადების წმინდა შემოძინება ფინანსური საქმიანობიდან		457,812
წმინდა შემცირება ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(144,642)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	10	892,549
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(105,429)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		642,478

11-38 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს იბერკომპანისა (შემდგომში - „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიებისთვის (შემდგომში ერთობლივად - „ჯგუფი“) 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

კომპანია დაარსდა 2000 წლის 6 აპრილს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდით - 231963818.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საწვავით ვაჭრობა და სავაჭრო ობიექტების გაქირავება. კომპანია საწვავის რეალიზაციას ახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი - გოჩა ენუქიძე. კომპანიას მართავს 100%-იანი წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებსა და კაპიტალ მეთოდით აღრიცხულ ინვესტიციებს მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში:

დასახელება	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	საოპერაციო საქმიანობა	ინვესტიცია
შპს იბერჰესი	100%	100%	ჰესის მშენებლობა	შვილობილი
შპს იბერვაინი	100%	100%	სასტუმრო	შვილობილი
შპს კერა დეველოპმენტი	50%	50%	სამშენებლო ბიზნესი	ერთობლივი საწარმო
შპს არქი რივერსაიდი	50%	-	სამშენებლო ბიზნესი	ერთობლივი საწარმო
შპს ფოთპეტროლი	40%	-	საწვავით ვაჭრობა	მეკავშირე საწარმო
შპს ომეგა გაზი	35%	35%	საწვავით ვაჭრობა	მეკავშირე საწარმო
შპს სქაი ისანი	34.35%	-	სამშენებლო ბიზნესი	მეკავშირე საწარმო
შპს შატრო ველი	20%	-	ღვინის წარმოება	მეკავშირე საწარმო
შპს დელტა გაზი	10%	-	საწვავით ვაჭრობა	მეკავშირე საწარმო

ზემოთ მოცემული ყველა კომპანიის რეგისტრაციისა და საქმიანობის ადგილია საქართველო.

კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37, სართული 3, ბლოკი B.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობამ მოამზადა იმისთვის, რომ ჯგუფი გადავიდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე (ფასს) 2018 წლის 31 დეკემბრისათვის. გადასვლის თარიღამდე ჯგუფი არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობამ გამოიყენა საუკეთესო ცოდნა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების, სააღრიცხვო პოლიტიკის, რომელსაც ჯგუფი გამოიყენებს, როდესაც მოამზადებს ფასს-ების სრულად შესაბამის პირველ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ სტანდარტების და ინტერპრეტაციების, მიმდინარე ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნაზე, ის შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, სააღრიცხვო სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ შესაძლოა გამოუშვას დამატებები და ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებზე. შესაბამისად, სანამ ჯგუფი პირველად მოამზადებს ფასს-ის სრულად შესაბამის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და განსაზღვრავს გადასვლის თარიღს ფასს 1-ის შესაბამისად, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაციის ცვლილების შესაძლებლობა ვერ გამოირიცხება.

რადგან ფასს-ზე გადასვლის თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ მოიცავს წინა პერიოდის შესადარის მონაცემებს. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ინფორმაცია არ ითვალისწინებს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის წარდგენას.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად (მე-3 შენიშვნა).

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფასს-ის მიღება

ა) 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა მოცემული ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გთავაზობს ერთ, პრინციპზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდიხ შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფას 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფას 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფას 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დამატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფას 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფას 9 მიზნად ისახავს, ჩანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფას 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფას 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფას 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფას 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოადგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ფას 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფას 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- **ალიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ალიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 16 - იჯარა. ფასს 16 - იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 - ლიზინგი, ფასს 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, იმკ 15 - საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და იმკ 27 - გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. ჯგუფი არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-ის, ფასს 9-ის და ფასს 16-ის ეფექტი, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ჯგუფის მიერ სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალი ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. ჯგუფს არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში. ჯგუფს არ აქვს აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ჯგუფი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორიცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი. ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- კონტრაგენტი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება ჯგუფის მიერ მოპოვებული კონტრაგენტის ფინანსური ინფორმაციით;
- კონტრაგენტი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს კონტრაგენტის მიერ ვალდებულების დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებებით არის გამოწვეული და რასაც გავლენა აქვს კონტრაგენტზე;

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზრევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ჯგუფს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ჯგუფის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საწარმოო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ჯგუფის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ერთობლივი საქმიანობა გულისხმობს ორი ან მეტი მონაწილე მხარის ერთობლივად კონტროლირებადი ეკონომიკური საქმიანობის წარმართვას, სახელშეკრულებო შეთანხმების საფუძველზე. ერთობლივი კონტროლი წარმოადგენს ხელშეკრულებით დადგენილ ერთობლივ კონტროლს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში, რომელიც არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც სტრატეგიული ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება უკავშირდება საქმიანობას, რომელიც საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა (სრულუფლებიანი მონაწილე) ერთსულოვან თანხმობას.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციებს ჯგუფი აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდის გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინვესტიცია კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, რომელიც აღირიცხება ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“-ს შესაბამისად; კაპიტალ-მეთოდი ისეთი სააღრიცხვო მეთოდია, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების წმინდა აქტივებში არსებული ჯგუფის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად. ჯგუფის მოგება ან ზარალი მოიცავს მის წილს ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

თუ ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი წყვეტს შემდგომი პერიოდის ზარალში მისი წილის აღიარებას. მას შემდეგ, რაც ჯგუფის წილი ნულამდე ეცემა, წარმოიქმნება დამატებითი ზარალი და ხდება ვალდებულებების აღიარება მხოლოდ ჯგუფის მიერ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების სახელით აღებული იურიდიული და კონსტრუქციული ვალდებულებების ან შესრულებული გადახდების მოცულობით.

მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში დაბანდებული ინვესტიციების აღრიცხვას კაპიტალ-მეთოდით ჯგუფი იმ მომენტიდან იწყებს, როდესაც ინვესტირებული საწარმო შეიძლება ჩაითვალოს მეკავშირე საწარმოდ ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოდ. მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ინვესტიციის შეძენის დროს წარმოშობილი სხვაობა (დადებითი თუ უარყოფითი), ინვესტიციის თვითღირებულებასა და მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებებისა წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტორის წილს შორის, აღირიცხება შემდეგნაირად:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) გუდვილი, რომელიც დაკავშირებულია მეკავშირე საწარმოსთან ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებთან, შეიტანება ამ ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში. თუმცა, ამ გუდვილის ამორტიზაცია არ ხდება;

ბ) მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების იდენტიფიცირებადი აქტივების და ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში ინვესტიციის წილის ნებისმიერი მეტობა ინვესტიციის თვითღირებულებაზე შეიტანება მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მოგებაში ან ზარალში ჯგუფის წილის გაანგარიშებაში შემოსავლის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ინვესტიცია იქნა შეძენილი.

თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოები და ჯგუფი მსგავს ოპერაციებსა და შემთხვევებში იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ხოლო ჯგუფი კაპიტალ-მეთოდს იყენებს მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, ხდება მათი სააღრიცხვო პოლიტიკათა დაახლოება და შესაბამისი კორექტირებების ჩატარება.

ჯგუფი იყენებს ბასს 39-ის მოთხოვნებს იმის განსასაზღვრად, რამდენად აუცილებელია გაუფასურების ზარალის აღიარება ჯგუფის წმინდა ინვესტიციის შესაბამისად მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. რადგან მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ჯგუფის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებაში შესული გუდვილის აღიარება ცალკე არ ხდება, ჯგუფი არ იყენებს გუდვილის გაუფასურებაზე ცალკე ბასს 36-ის – „აქტივების გაუფასურება“-ს მოთხოვნებს. ამის ნაცვლად, ბასს 36-ის შესაბამისად გაუფასურებაზე მოწმდება ინვესტიციის, როგორც ერთი აქტივის, მთლიანი საბალანსო ღირებულება, მისი ანაზღაურებადი ღირებულების (უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის) შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, ყოველთვის, როდესაც ბასს 39-ის მოთხოვნების გამოყენება აჩვენებს, რომ ინვესტიცია შეიძლება გაუფასურებული იყოს. ასეთ შემთხვევაში, აღიარებული გაუფასურების ზარალი არ ნაწილდება რომელიმე აქტივზე, მათ შორის გუდვილზე, რომელიც წარმოადგენს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში ფლობილი ინვესტიციის საბალანსო ღირებულების ნაწილს. შესაბამისად, ამ გაუფასურების ნებისმიერი კომპენსირების თანხას ჯგუფი აღიარებს ბასს 36-ის შესაბამისად იმ ოდენობით, რა სიდიდითაც გაიზრდება შემდგომში ამ ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულება.

ჯგუფი წყვეტს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას იმ დღიდან, როდესაც იგი წყვეტს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში და იმ დღიდან ინვესტიციას აღრიცხავს ბასს 39-ის შესაბამისად, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები არ ხდება შვილობილი საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა. როდესაც ჯგუფი მნიშვნელოვან გავლენას კარგავს, იგი რეალური ღირებულებით აფასებს ინვესტიციას, რომელიც რჩება მას ყოფილ მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში. ჯგუფი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ განსხვავებას ნებისმიერი დარჩენილი ინვესტიციისა და მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში წილის ნაწილობრივი დათმობიდან მიღებული შემოსულობის რეალურ ღირებულებასა და მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის თარიღისთვის ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას შორის.

როდესაც ჯგუფი კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ჯგუფი მათთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა თანხას ისეთივე წესით ასახავს, როგორც მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, თუ მეკავშირე საწარმო ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოები უშუალოდ გაყიდვით იქნა შესაბამის აქტივს ან ვალდებულებას. ამგვარად, თუ მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოების მიერ სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირებული იყო მოგებაში ან ზარალში შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, ჯგუფს ეს შემოსულობა ან ზარალი საკუთარი კაპიტალიდან გადააქვს მოგებაში ან ზარალში (როგორც რეკლასიფიკაციის კორექტირების თანხა), როდესაც კარგავს მნიშვნელოვან გავლენას მეკავშირე საწარმოზე ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებზე. თუ ჯგუფის საკუთრების წილი მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში მცირდება, მაგრამ ეს ინვესტიცია ისევ მეკავშირე საწარმოს სტატუსს ინარჩუნებს, ჯგუფს მოგებაში ან ზარალში გადააქვს მხოლოდ წინა პერიოდში სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის პროპორციული წილი.

ჯგუფი აგრძელებს კაპიტალ-მეთოდის გამოყენებას მას შემდეგაც რაც ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში ხდება ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ან ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში ხდება ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. ამ შემთხვევაში აღარ ხდება ინვესტიციის რეალური ღირებულებით ხელახალი შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შემენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად, შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	7
ავტო გაზ გასამართი სადგურები	5-15
სატვირთო და სხვა ავტომობილები	5
ავეჯი, კომპიუტერები და სხვა ინვენტარი	5
სხვა	5-15

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს. საინვესტიციო ქონება ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა საინვესტიციო ქონების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. შენობა ნაგებობების და ავტო გაზ-გასამართი სადგურების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 20 წელს.

საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

იჯარა

იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკის და სარგებლის გადაცემა. სხვა დანარჩენი იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

ჯგუფი როგორც მეიჯარე - საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მისი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

ჯგუფი როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები).

წარმოების პროცესში თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის მარაგების ანგარიშებზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები. საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

გადასახადები

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს რწმუნება იმის შესახებ, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში და შემოსავლის ოდენობა საიმედოდ იქნება შეფასებული. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება ოპერაციის პერიოდში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი. ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3,1044
გაცვლითი კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოო დასავალი. ვალდებულების წარმოქმნილი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობითი ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების ჯგუფიდან გასვლა, სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი აქტივები არ აისახება სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე, მოვლენები სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია ქვემოთ, მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავტო გასამართი სადგურები	სატვირთო და სხვა ავტომობილები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა	სულ
2017 წლის 1 იანვრისთვის	8,068,790	2,349,905	217,794	881,740	837,688	923,940	918,539	14,198,396
შემოსვლა	393,540	1,199,344	808,972	906,614	514,254	235,504	632,408	4,690,636
გასვლა	(976,591)	-	-	(25,123)	(31,601)	(43,055)	(87,814)	(1,164,184)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	7,485,739	3,549,249	1,026,766	1,763,231	1,320,341	1,116,389	1,463,133	17,724,848
დაგროვილი ცვეთა								
2017 წლის 1 იანვრისთვის	-	(494,520)	(17,953)	(92,970)	(291,562)	(241,613)	(119,449)	(1,258,067)
წლის ცვეთა	-	(92,769)	(46,929)	(95,321)	(122,754)	(142,732)	(69,724)	(570,229)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	25,123	5,243	6,635	6,568	43,569
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(587,289)	(64,882)	(163,168)	(409,073)	(377,710)	(182,605)	(1,784,727)
ნეტო საბალანსო ღირებულება								
2017 წლის 1 იანვრისთვის	8,068,790	1,855,385	199,841	788,770	546,126	682,327	799,090	12,940,329
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	7,485,739	2,961,960	961,884	1,600,063	911,268	738,679	1,280,528	15,940,121

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. საინვესტიციო ქონება

ისტორიული ღირებულება	შენიშნა- ნაგებობები	ავტო გასამართი სადგურები	ჯამი
2017 წლის 1 იანვრისთვის	17,951,424	1,405,568	19,356,992
შემოსვლა	67,436	1,175,472	1,242,908
გასვლა	(64,959)	(99,462)	(164,421)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	17,953,901	2,481,578	20,435,479
დაგროვილი ცვეთა			
2017 წლის 1 იანვრისთვის	(2,306,222)	(419,314)	(2,725,536)
წლის ცვეთა	(838,073)	(89,983)	(928,056)
გასული საინვესტიციო ქონების დაგროვილი ცვეთა	18,996	78,745	97,741
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	(3,125,299)	(430,552)	(3,555,851)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2017 წლის 1 იანვრისთვის	15,645,202	986,254	16,631,456
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	14,828,602	2,051,026	16,879,628

2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონების ძირითადი ნაწილი დატვირთულია იპოთეკით ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

7. ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს არქი რივერსაიდი*	3,201,176	-
შპს სქაი ისანი*	768,858	-
შპს დელტა გაზი	189,902	-
შპს ფოთპეტროლი	163,388	-
შპს ომეგა გაზი	155,672	157,000
შპს შატრო ველი	97,291	-
სულ ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში	4,576,286	157,000

*ქვემოთ მოცემული ფინანსური ინფორმაცია წარმოადგენს თანხებს, ნაჩვენებ ერთობლივი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	სქაი ისანი		არქი რივერსაიდი	
	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
მიმდინარე აქტივები	3,399,782	520,391	62,199	-
გრძელვადიანი აქტივები	3,436,904	3,418,031	3,201,608	-
მიმდინარე ვალდებულებები	6,408,755	2,851,879	14	-
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	1,406,460	750	-
წმინდა აქტივები	427,931	(319,917)	3,263,043	-

	სქაი ისანი	არქი რივერსაიდი
შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული ზარალი	(527,220)	(865)
% წილი საწარმოში	34.35%	50%

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

7. ინვესტიციები ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში (გაგრძელება)

ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების საბალანსო ღირებულების რეკონსილაცია:

	2017
1 იანვარი	157,000
დამატებითი შენატანები	4,570,707
ზარალის წილი ერთობლივ და მეკავშირე საწარმოში	(74,151)
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოებიდან კაპიტალის გამოტანა	(77,270)
სულ ინვესტიციები 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,576,286

8. მარაგები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
საწვავი	5,592,127	1,868,009
უძრავი ქონება*	1,623,002	2,348,849
სხვა	170,847	156,685
სულ მარაგები	7,385,976	4,373,543

*უძრავი ქონება შედგება გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი ფართებისა და ავტოფარეხებისგან.

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,139,436	1,087,134
სხვა მოთხოვნები	168,812	382,121
სულ ფინანსური მოთხოვნები	1,308,248	1,469,255
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	115,332	204,845
სხვა	1,101	59
სულ არაფინანსური მოთხოვნები	116,433	204,904
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,424,681	1,674,159

2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის ფინანსური მოთხოვნები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული.

ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი და გამოფერა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-20 განმარტებითი შენიშვნაში.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ფული გზაში*	8,220	193,685
ნაღდი ფული სალაროში	210,644	75,346
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	423,614	309,169
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	314,349
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	642,478	892,549

*ფული გზაში შედგება ავტო გასამართ სადგურებზე მიღებული თანხებისგან, რომლებიც 2017 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ჯერ არ არის შემოსული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. მიღებული სესხები

				31 დეკემბერი 2017			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
სს ვითიზი ბანკი	10%	ლარი	15-ოქტ-18	1,507	2,750,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	76,125	2,560,695	-	12,141,129
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	2,292	77,105	-	365,581
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	1,753	58,973	-	279,561
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	746	25,091	-	119,007
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,526	57,921	-	269,437
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,423	56,024	-	261,031
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,359	51,595	-	240,016
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	895	33,973	-	157,970
სს ვითიზი ბანკი	6.3%	ევრო	3-აპრ-23	1,519	119,920	-	206,042
სულ მიღებული სესხები				89,145	5,791,297	-	14,039,774

				1 იანვარი 2017			
				მიმდინარე		გრძელვადიანი	
გამსესხებელი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაფარვის თარიღი	პროცენტი	ძირი	პროცენტი	ძირი
სს ვითიზი ბანკი	10.0%	ლარი	18-დეკ-17	5,205	1,500,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	10.0%	ლარი	3-იან-18	137	500,000	-	-
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	104,195	2,196,880	-	15,011,814
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	3,137	66,151	-	452,020
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	1,633	51,359	-	345,662
სს ვითიზი ბანკი	8.5%	დოლარი	3-აპრ-23	39	19,602	-	147,146
სულ მიღებული სესხები				114,346	4,333,992	-	15,956,642

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

		მიღებული სესხები
1 იანვარი 2017		20,404,980
ფულადი ნაკადები		(1,594,741)
არაფულადი მოძრაობა:		
საანგარიშგებო პერიოდში დარიცხული პროცენტი		1,427,352
საკურსო სხვაობის ეფექტი		(317,375)
31 დეკემბერი 2017		19,920,216

ანგარიშგების თარიღებისთვის ჯგუფის აქტივების ნაწილი დატვირთულია იპოთეკით/გირათი ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით. იპოთეკით/გირათი დატვირთული აქტივების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-5 და მე-6 განმარტებით შენიშვნებში.

სესხების ვადიანობა და გაშიფვრა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. საგადასახადო ვალდებულება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საგადასახადო ვალდებულება, ძირითადად შედგება, 2017 წლის დეკემბერში იმპორტირებული საწვავის აქციზის გადასახადის ვალდებულებისგან, რომელიც ჯგუფმა დაფარა მომდევნო საანგარიშგებო წლის დასაწყისში.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	3,564,113	890,759
გადასახდელი ხელფასები	28,471	27,362
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,592,584	918,121

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობა და გაშიფვრა ვალუტების მიხედვით იხილეთ მე-19 განმარტებითი შენიშვნაში.

14. შემოსავალი

	2017
შემოსავალი:	
საწვავის რეალიზაციიდან	51,489,338
იჯარიდან	5,936,940
სხვა	116,776
სულ შემოსავალი	57,543,054

ჯგუფის ძირითადი შემოსავალი დაკავშირებულია საწვავის საცალო და საბითუმო ვაჭრობასთან. ამასთანავე, ჯგუფს იჯარით აქვს გაცემული მის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ცენტრი და ასევე, ავტო გასამართი სადგურები, რომლებსაც აქირავენ სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე.

15. რეალიზაციის თვითღირებულება

	2017
საწვავის ხარჯი	(47,246,616)
ცვეთა	(838,073)
სხვა	(245,739)
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	(48,330,428)

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

16.სხვა შემოსავალი, წმინდა

	2017
სხვა შემოსავალი:	
აქტივების გადაფასებიდან	2,366,903
ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების რეალიზაციიდან	677,881
სატრანსპორტო მომსახურებიდან	438,502
სხვა, წმინდა	152,278
სულ სხვა შემოსავალი, წმინდა	3,635,564

17.გაყიდვის დანახარჯები

	2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	(1,184,591)
იჯარა	(871,202)
საწვავის ხარჯი	(389,903)
ცვეთა	(232,233)
კომუნალური ხარჯები	(151,763)
ტრანსპორტირების ხარჯი	(111,137)
სარეკლამო ხარჯები	(43,260)
სულ გაყიდვის დანახარჯები	(2,984,089)

18.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017
ხელფასები და სხვა სარგებელი	(764,337)
ცვეთა და ამორტიზაცია	(440,267)
რემონტისა და შეკეთების ხარჯები	(263,415)
საგადასახადო ხარჯები	(256,048)
იჯარა	(118,620)
დაზღვევა	(94,970)
დაცვის მომსახურება	(60,576)
საოფისე ხარჯები	(53,423)
ბანკის მომსახურების ხარჯები	(52,576)
კომუნალური ხარჯები	(50,030)
სხვა	(380,026)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,534,288)

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

19.პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ აქვს მიმდინარე სასამართლო პროცესი და დავა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულებას, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას აქტივობებიდან ან საჩივრებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო ოპერაციებზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულა ანარიცხი.

მომავალი საიჯარო გადასახდელები

ჯგუფს საოპერაციო იჯარით ნაქირავები აქვს ავტო გასამართი სადგურები. იჯარების ხანგრძლივობა განსხვავებულია და მათი მაქსიმალური ვადა შეადგენს 10 წელს. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ შესაძლებელია პირობების გადახედვა და ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. შეუქცევადი საოპერაციო იჯარის ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საოპერაციო იჯარით წარმოქმნილი ვალდებულებები	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
1 წლამდე	887,376	525,362
1-დან 5-წლამდე	3,062,802	3,411,392
5 წელზე მეტი	2,317,622	2,922,016
სულ მომავალი საიჯარო გადასახდელები	6,267,800	6,858,770

კოვენანტებთან შესაბამისობა

ჯგუფი ექვემდებარება კოვენანტებს, რომლებიც დაკავშირებულია მიღებულ სესხებთან. ამგვარი კოვენანტების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, რაც დაკავშირებულია მიღებული სესხების მოთხოვნისთანავე დაფარვის ვალდებულებასთან. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი კოვენანტების უმრავლესობას აკმაყოფილებდა:

კრედიტორების მიერ დაწესებული კოვენანტები	2017
EBITDA*/სასესხო ვალდებულებები	≥0.25
EBITDA*/საპროცენტო ხარჯი	≥3
სასესხო ვალდებულების ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	≥1.25

ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ კოვენანტს	2017
სასესხო ვალდებულების საოპერაციო მოგებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	≥1.2

დარღვეულ კოვენანტთან დაკავშირებით ჯგუფის ხელმძღვანელობასა და მსესხებელს შორის მოხდა შეთანხმება, რომ აღნიშნული დარღვევის გამო არ მოხდება სესხის მოთხოვნისთანავე დაფარვის უფლების გამოყენება.

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლვადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად.

საკრედიტო რისკი წარმოიშვება მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს ჯგუფისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ჯგუფს შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც, თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისთვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,308,248	1,469,255
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	431,834	817,203
სულ ფინანსური აქტივები	1,740,082	2,286,458

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება ჯგუფის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ ჯგუფი აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის მიმდინარე ოპერაციებზე და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას. ჯგუფის ოპერაციები ძირითადად ფინანსდება იმ კაპიტალის და სახსრების მეშვეობით, რომლებიც გააჩნია მფლობელებს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,308,248	-	-	-	1,308,248
ფული და ფულის ეკვივალენტები	642,478	-	-	-	642,478
სულ ფინანსური აქტივები	1,950,726	-	-	-	1,950,726
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	1,046,945	6,129,224	15,306,545	956,990	23,439,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,592,584	-	-	-	3,592,584
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,639,529	6,129,224	15,306,545	956,990	27,032,288
ლიკვიდურობის სხვაობა	(2,688,803)	(6,129,224)	(15,306,545)	(956,990)	(25,081,562)
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	(2,688,803)	(8,818,027)	(24,124,572)	(25,081,562)	

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,469,255	-	-	-	1,469,255
ფული და ფულის ეკვივალენტები	892,549	-	-	-	892,549
სულ ფინანსური აქტივები	2,361,804	-	-	-	2,361,804
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	985,948	4,857,524	14,373,890	4,788,535	25,005,897
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	918,121	-	-	-	918,121
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,904,069	4,857,524	14,373,890	4,788,535	25,924,018
ლიკვიდურობის სხვაობა	457,735	(4,857,524)	(14,373,890)	(4,788,535)	(23,562,214)
ლიკვიდურობის აკუმულირებული სხვაობა	457,735	(4,399,789)	(18,773,679)	(23,562,214)	

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,308,248	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	642,478	-	-
სულ ფინანსური აქტივები	1,950,726	-	-
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	2,751,505	15,708,060	1,460,651
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	872,804	2,719,780	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,624,309	18,427,840	1,460,651
ღია საბალანსო პოზიცია	(1,673,583)	(18,427,840)	(1,460,651)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	ლარი	დოლარი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,469,255	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	578,174	314,375
სულ ფინანსური აქტივები	2,047,429	314,375
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	2,005,342	18,399,638
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	918,121	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,923,463	18,399,638
ღია საბალანსო პოზიცია	(876,034)	(18,085,263)

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე. ჯგუფის ყველა მნიშვნელოვანი აქტივი და ვალდებულება მიხმულია ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებს და აკორექტირებს მათ წლის ბოლოს უცხოური ვალუტის კურსის 20% -იანი ცვლილების პირობებში.

იბერკომპანი ჯგუფი

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

20. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე და კაპიტალზე გავლენა, ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

	ლარი / აშშ დოლარი		ლარი / ევრო	
სრული შემოსავლის ანგარიშგება	(3,685,568)	3,685,568	(292,130)	292,130

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

21. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) ჯგუფის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგნაირად:

ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარესთან	2017
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზრაურება	447,179

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2017 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, კომპანიამ განახორციელა შემდეგი ინვესტიციები:

- შპს „რივერსაიდ დილოში“ (ს/კ: 405218107) 450,000 აშშ დოლარის ოდენობით. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 50%-იან წილს ფლობს;
- შპს „სქაი ბათუმი“ (ს/კ: 445502135) 550,000 აშშ დოლარის ოდენობით. ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 50%-იან წილს ფლობს;

აღნიშნულ პერიოდში კომპანიამ ასევე დააფუძნა:

- შპს „ნაბერაული ვაინს“ (ს/კ: 422936817) - ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 70%-იან წილს ფლობს. შპს „ნაბერაული ვაინს“ არ დაუწყო საქმიანობა;
- შპს „საწვავის ტრანსკავკასიური კომპანიას“ (ს/კ: 402074562) - ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 50%-იან წილს ფლობს. შპს „საწვავის ტრანსკავკასიური კომპანიას“ არ დაუწყო საქმიანობა;
- შპს „ოფტიმა“ (ს/კ: 405256235) - ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 100%-იან წილს ფლობს. შპს „ოფტიმას“ არ დაუწყო საქმიანობა;
- შპს „შპს ჰოუმმარტი“ (ს/კ: 405253489) - ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯგუფი 100%-იან წილს ფლობს. შპს „ოფტიმას“ არ დაუწყო საქმიანობა.